საქართველოს მთავრობის

დადგენილება №222

2023 წლის 12 ივნისი

ქ. თბილისი

„პირველი, მეორე და მესამე კატეგორიების კრიტიკული ინფორმაციული სისტემების სუბიექტების ნუსხის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2021 წლის 31 დეკემბრის №646 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

მუხლი 1

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტისა და „ინფორმაციული უსაფრთხოების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, „პირველი, მეორე და მესამე კატეგორიების კრიტიკული ინფორმაციული სისტემების სუბიექტების ნუსხის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2021 წლის 31 დეკემბრის №646 დადგენილებაში (www.matsne.gov.ge, 31/12/2021, 010240010.10.003.023202) შეტანილ იქნეს ცვლილება და:

1. დადგენილებით დამტკიცებული პირველი კატეგორიის კრიტიკული ინფორმაციული სისტემის სუბიექტების ნუსხის:

ა) მე-10 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„10. პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახური;“;

ბ) მე-12 პუნქტის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის 12^1 პუნქტი:

„12^1. საქართველოს დაზვერვის სამსახური;“;

გ) 22-ე პუნქტის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის 22^1 პუნქტი:

„22^1. საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს საჯარო სამართლის იურიდიული პირი – სამოქალაქო ავიაციის სააგენტო;“;

დ) 61-ე პუნქტის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის 62-ე – 71-ე პუნქტები:

„62. შპს „საქართველოს აეროპორტების გაერთიანება“;

63. საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისია;

64. სს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემა“;

65. შპს „ვარდნილჰესების კასკადი“;

66. სს „საქართველოს ენერგეტიკული ბირჟა“;

67. სს „ელექტროენერგეტიკული სისტემის კომერციული ოპერატორი“;

68. შპს „საქართველოს გაზის ტრანსპორტირების კომპანია“;

69. შპს „საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანია“;

70. შპს „გარდაბნის თბოსადგური“;

71. შპს „გარდაბნის თბოსადგური 2“.“.

2. დადგენილებით დამტკიცებული მესამე კატეგორიის კრიტიკული ინფორმაციული სისტემის სუბიექტების ნუსხას დაემატოს შემდეგი შინაარსის 30-ე პუნქტი:

„30. შპს „ტავ ურბან საქართველო“.“.

მუხლი 2

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

პრემიერ-მინისტრი **ირაკლი ღარიბაშვილი**